სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 112 (226) | ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი | 1944 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებით შეტევას აწარმოებენ, დღეს, 11 ოქტომბერს, იერიშით დაიკავეს ტრანსილვანიის დედაქალაქი კლუჟი.

ამავე დროს ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე ტისა და დაიკავეს ქალაქი სეგედი—უნგრეთის დიდი სამეურნეო-პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცენტრი.

ქალაქების კლუჟისა და სეგედის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ტროფიმენკოს, გენერალ-ლეიტენანტ მანაგაროვის, გენერალ-ლეიტენანტ შლემინის, გენერალ-ლეიტენანტ გორიაჩევის, გენერალ-ლეიტენანტ პეტრუშევსკის, გენერალ-მაიორ კოლჩუკის, გენერალ-მაიორ ოსტაშენკოს, გენერალ-მაიორ კარლოვის, გენერალ-მაიორ კონევის, პოლკოვნიკ ხოხლოვის, პოლკოვნიკ გუშჩინის, პოლკოვნიკ კოსტრიკინის, გენერალ-მაიორ კარამიშევის, გენერალ-მაიორ ზდანოვიჩის, პოლკოვნიკ ბურიკის, პოლკოვნიკ დუნაევის, პოლკოვნიკ ესინის, პოლკოვნიკ პარფენოვის, პოლკოვნიკ კოვტუნ-სტანკევიჩის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ფომინის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლებედევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ალექსეენკოს, არტილერიის გენერალ-მაიორ ბობროვნიკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოპოვიჩის, პოლკოვნიკ ზიკოვის, პოლკოვნიკ ივანოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კურკინის, პოლკოვნიკ რუმიანცევის, პოლკოვნიკ სტიჩიკის, პოლკოვნიკ ბრიჟინევის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გორიუნოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სტეპიჩევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პოდგორნის, ავიაციის გენერალ-მაიორ კამანინის, პოლკოვნიკ გეიბოს, პოლკოვნიკ ბლაგოვეშჩენსკის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ცირლინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ იგნატოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტიულევის, პოლკოვნიკ პონიავშის, პოლკოვნიკ კალინიჩენკოს, პოლკოვნიკ ისაევის, პოლკოვნიკ ნასონოვის, პოდპოლკოვნიკ პავლენკოს მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ლეონოვის, პოლკოვნიკ აგაფონოვის, პოლკოვნიკ ეგოროვის, პოლკოვნიკ მაკარენკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების კლუჟისა და სეგედის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „კლუჟის" და „სეგედის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 11 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქები კლუჟი და სეგედი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქების კლუჟისა და სეგედის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 11 ოქტომბერი.

ბატონ უ. ჩერჩილის განცხადება

მოსკოვში ჩამოსვლის დღეს აეროდრომზე, კინოქრონიკის მიკროფონის წინ, ბ-ნმა უ. ჩერჩილმა შემდეგი განაცხადა:

„ბატონო მოლოტოვ, თქვენო აღმატებულებანო, ქალბატონებო და ბატონებო.

ამ საშინელი და სისხლისმღვრელი ომის განმავლობაში მე მეორედ ჩამოვდივარ ამ აეროდრომზე მოსკოვში. ორ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც მე აქ უკანასკნელად ვიყავი. მაგრამ ეს ორი წელი განუწყვეტელ გამარჯვებათა წლები იყო. ჩვენ ყველანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მტკიცედ ვუტევდით ჩვენს საერთო მტერს, რომელმაც მოსპო კაცობრიობის განძი და მშვიდობა, რომელმაც თავის ყოველ ნაბიჯს ჩირქი მოსცხო საშინელი საქმეებით და საშინელი მხეცობით და რომელსაც ახლა თავს ატყდება გაერთიანებულ ერთა შურისძიება.

ასეთი დიდი თავდადებითა და ერთგულებით მიღწეულ გამარჯვებათა შესანიშნავი პერიოდის განმავლობაში რუსეთის არმიებმა, საბჭოთა კავშირის არმიებმა მტერს მძლავრი დარტყმები აგემეს. ისინი პირველნი იყვნენ მათ შორის, ვინც დაამსხვრია გერმანიის არმიის სული და სამხედრო მანქანა.

ჩვენი მხრივ ჩვენც, შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობამ, უკიდურეს ზომამდე დავძაბეთ ჩვენი ძალღონე. და თქვენ უნდა განსაჯოთ, ვაგემეთ თუ არა მტერს მძიმე დარტყმები.

მე აქ ჩამოვედი იმედის ტალღებზე, იმ რწმენის ტალღებზე, რომ გამარჯვება მიღწეულ იქნება, და იმ იმედით, რომ, როდესაც იგი მიღწეულ იქნება, ჩვენ ყველანი შევეცდებით მსოფლიო გადავაქციოთ ადამიანთა დიდი მასების საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად".

უფროს სერჟანტ მგალობლიშვილის ქვემეხის გუნდისათვის მედლის „კავკასიის დაცვისათვის" გადაცემა

უფროს სერჟანტ ოთარ მგალობლიშვილის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მებრძოლებს ყოველთვის ახსოვთ ორი თარიღი: 1942 წლის 26 სექტემბერს ნალჩიკთან, მდინარე ჩეგემზე, ისინი პირველნი ჩაებნენ ბრძოლაში და გადასასვლელისათვის ცხარე შეტაკებაში მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი. უნარიანი საბრძოლო მოქმედებისათვის ქვემეხის მეთაური დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით, ხოლო მესაკეტე უმცროსი სერჟანტი ვარლამ კალანდია, რომელმაც შესცვალა მძიმედ დაჭრილი მემიზნე, წითელი დროშის ორდენით. მეორე თარიღი—1944 წლის 7 ოქტომბერია, — ამ დღეს ქვემეხის გუნდის მთელს პირად შემადგენლობას გადაეცა მთავრობის ჯილდო—მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

ამ ორ თარიღს შორის ორი წელიწადი დიდიხანია მიწყნარდა კავკასიისათვის ბრძოლების გუგუნი. ახლა წითელი არმია თავის ძლევამოსილ ბრძოლებს აწევს არა მდინარე ჩეგემზე, არამედ ვისლაზე და დუნაიზე. კარპატებში და ტრანსილვანიის ალპებში ცოცხლობენ და მრავლდებიან კავკასიის სახელოვანი ბრძოლების ტრადიციები.

ამ წლების განმავლობაში განუზომლად გაიზარდა კავკასიის გმირ დამცველთა საბრძოლო ოსტატობა. მათთან ერთად გაიზარდნენ და სრულყვეს თავისი საბრძოლო ოსტატობა უფროს სერჟანტ მგალობლიშვილის ქვემეხის გუნდის არტილერისტ-გამანადგურებლებმაც. გუნდის თვითეული ხომერი ყველა სპეციალობას სრულყოფილად ფლობს, თუ 1942 წელს მდინარის გადასასვლელისათვის ბრძოლებში გუნდის მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ მესაკეტე უმცროს სერჟანტ კალანდიას შეეძლო შეეცვალა წყობილებიდან გამოყვანილი მემიზნე, ახლა გუნდში ურთიერთშენაცვლების საქმე სრულყოფილად არის დაუფლებული: მოფერს რიგითი მებრძოლ სიდამონიძეს შეუძლია შესცვალოს მემიზნე სერჟანტი ბეჟუაი, გამტეხს რიგითი მებრძოლ გოგიშვილს შეუძლია ყოველი ნომრის მოვალეობის შესრულება.

მედლის „კავკასიის დაცვისათვის" მიღებისას ქვემეხის მეთაურმა უფროსმა სერჟანტმა მგალობლიშვილმა გუნდის მთელი შემადგენლობის სახელით განაცხადა:

— ნალჩიკის მისადგომებზე გამოვცადეთ ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ძალა. იქ, ჩეგემზე გადასვლისათვის ბრძოლებში, დაიბადა ჩვენი არტილერისტების ოსტატობა. იქ, კავკასიის მთის კალთებზე, გამოიწრთო ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების ხელოვნება. და ახლა, ვიღებთ რა მედალს „კავკასიის დაცვისათვის", შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენი ქვემეხის გუნდი სწავლების პროცესში ღირსეულად ინახავდა და ამრავლებდა კავკასიის დამცველთა საბრძოლო გამოცდილებებს.

მეთაურის სიტყვების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ უკანასკნელი ჩაუვლითი სროლების შედეგები: უფროსმა სერჟანტმა მგალობლიშვილმა, სერჟანტმა ბეჟუაიამ და რიგითმა მებრძოლმა გოგიშვილმა ოთხი ჭურვით ოთხ ადგილას დააზიანეს მოძრავი ტანკი. გუნდის დანარჩენმა წევრებმა, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც მემიზნეები, ოთხი ჭურვიდან სამი მოახვედრეს.

ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის ერთი გუნდის მაგალითზე თვალნათლივ სჩანს საბრძოლო ზრდა კავკასიის დამცველებისა, რომელთა მკერდს ამშვენებს საბრძოლო მედალი. წმიდად ინახავენ რა თავიანთ საბრძოლო ტრადიციებს, ისინი მზად არიან დიდი სტალინის ბრძანებით სამშობლოსათვის ბრძოლებში კიდევ უფრო აამაღლონ კავკასიის დამცველთა გმირული სახელი.

ბულგარეთმა მიიღო სამი მოკავშირე მთავრობის წინასწარი პირობა

იმასთან დაკავშირებით, რომ ბულგარეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მიმართა თხოვნით დროებითი ზავის შესახებ, სამმა აღნიშნულმა მოკავშირე მთავრობამ 11 ოქტომბერს ბულგარეთის მთავრობას აცნობა შემდეგი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, განიხილეს რა ბულგარეთის მთავრობის თხოვნა დროებითი ზავის შესახებ, გადასწყვიტეს, რომ დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ბულგარეთის მთავრობამ იკისროს ვალდებულება ბულგარეთის ყველა ჯარებისა და ყველა ბულგარელი მოხელის გაყვანისა საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიებიდან. ასეთი ევაკუაცია დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და უნდა დამთავრდეს ამ ცნობის დღიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში. ამ ევაკუაციის გატარების შემოწმებისა და კონტროლის მიზნით სამი მოკავშირე მთავრობა ბულგარეთში გაგზავნის თავის წარმომადგენლებს, რომლებიც იმოქმედებენ როგორც მოკავშირეთა გაერთიანებული სამხედრო მისია საბჭოთა წარმომადგენლის თავმჯდომარეობით".

ბულგარეთის მთავრობამ მიიღო მოკავშირე მთავრობების წინასწარი პირობა. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
11 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

11 ოქტომბრის განმავლობაში კუნძულ სარემაზე (ეზელი) ჩვენმა ჯარებმა კუნძულის სამხრეთ კიდურზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები უნგრუ და იმარა. ამავე დროს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კუნძულები ვილსანდი ლაიდი და აბრუკა-სარი.

ქალაქ კლაიპედის (მემელი) ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის პიკელიაი, სკუოდასი, დუნიკა, სიკშნი, რუციავა, ნიდასიემსი, მონჩიშკი, კლიუონელი, იაკუბოვო, გრიგჟანე, მედსედი, შუკორი, ვილკუკომანე, სუგინტი, ზალტრიშკი, გრეიჩი.

ქალაქ შაკიაის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მათ შორის გელგუდიშკი, კრუშონი, კაიმელე, ლიმანტი, ნარტი, პლიორიშე, პონოვე.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები რადნაბორბერეკი, პარვა, მურეშენი-ბირგეულუი, კალიბიცა, რომან-ვუდაკი, არდანი, ნად-შაიო, სას-პინტეკი, ტეკე, სტუპინი, მიშუია,

(დასასრული მე-4 გვ.)

გავამრავლებთ კავკასიის დამცველთა საბრძოლო დიდებას!

მედლის „კავკასიის დაცვისათვის" გადაცემა უფროს სერჟანტ ოთარ მგალობლიშვილის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდისათვის



ჩეგემ-ჩოლოქი

მთის მდინარე ჩოლოქმა მოგვაგონა მდინარე ჩეგემი, სადაც 1942 წლის შემოდგომაზე პირველად ჩავებით გერმანელთა ტანკებთან ბრძოლაში. და ჩვენც გადავწყვიტეთ აღგვედგინა ჩოლოქზე ჩეგემის ბრძოლის მომენტი.

ყველაფერი თითქმის ისევე იყო, როგორც ორი წლის წინათ. ჩვენ ჩასაფრებაში ვართ. ვღელავთ: მოგვაგონდა 1942 წლის სექტემბერი, ჩეგემის ხეობა. გერმანელთა ექვსი ტანკი მდინარესთან მიადგა, მათ უკან ქვეითი ჯარი მოსდევს.

დაიწყო ბრძოლა. გახურებული ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა ქვემეხის მემიზნე. „მე დავიკავე მისი ადგილი და ქვემეხიც არ გაჩერებულა. სამი ტანკი ცეცხლის ალში გაეხვია, დანარჩენებმა კი მოჰკურცხლეს. მაშინ ქვემეხი გადავიტანეთ მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე და განვაგრძეთ მტრის გამოდევნება.

ჩვენი მეცადინეობა ტანკების „იერიშის" მოგერიებით დაიწყო, რიგრიგობით ვეწეოდით მემიზნის მაგიერობას, ვპოულობდით მიზანს და ცეცხლს ვუშენდით. ვმოქმედებდით ისე, როგორც მდინარე ჩეგემზე: სწრაფად და გაბედულად. აქ მოწმდებოდა გუნდის საბრძოლო ერთსულოვნება. თვითეული ნომერი საათის მექანიზმივით შეწყობილად მუშაობდა.

ჩვენ, ისე, როგორც ჩეგემზე, ვიცვლიდით საცეცხლე პოზიციებს, ვაწარმოებდით ქვემეხის შენიღბვას. სისწრაფე დაყვანილი იყო ავტომატიზმამდე: ასე, მაგალითად, ქვემეხის სროლისათვის მომზადებას 7 წამი მოვანდომეთ.

მოგერიებულ იქნა იერიში. გადარჩენილი ტანკები ხეობისაკენ მიემართებოდნენ. ჩვენც გადავლახეთ მდინარე და ქვემეხი გადავიტანეთ მოპირდაპირე ნაპირზე.

მეცადინეობის შემდეგ შევაჯამეთ შედეგები. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ამ წლების განმავლობაში ერთ ადგილს როდი ვტკეპნიდით, — ვიზრდებოდით და სრულვყოფდით მიღებულ ცოდნას. მდინარე ჩოლოქზე ჩვენ უფრო ორგანიზებულად ვმოქმედებდით. თვითეულ მოძრაობაში სჩანდა წლობით დაგროვილი გამოცდილება.

ჩვენ კიდევ სხვა გრძნობაც გვეუფლებოდა: არასოდეს დავივიწყებთ მდინარე ჩეგემს, ჩვენს მიერ სწავლაში მოპოვებული მიღწევა საზღვარი როდია. მომავალ ბრძოლებში კიდევ უფრო ავამაღლებთ კავკასიის დამცველთა დიდებას.

უმცროსი სერჟანტი მესაკეტე
ვარლამ კალანდია

დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით, მედლებით „მამაცობისათვის" და „კავკასიის დაცვისათვის".

ორი წლის შემდეგ

ამ დღეებში ჩემი გუნდის მთელმა შემადგენლობამ მიიღო მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

გვეკითხებიან: როგორ გავიზარდეთ ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში?

ჩვენი ზრდა ყველაფერში სჩანს. მეომრულ სიჩაუქეში, დისციპლინაში, წესრიგში და ქვემეხის მატერიალური ნაწილის ცოდნაში. ყველაზე უკეთესად ჩვენი საბრძოლო სრულყოფა სჩანს შემდეგი შედარებიდან: ორი წლის წინათ მდინარე ჩეგემზე 3 საათის ბრძოლის განმავლობაში მოვსპეთ მტრის 3 ტანკი, რაზედაც 20 ჭურვი დავხარჯეთ. ამას წინათ ჩატარებულ ჩათვლით სროლებზე, როცა პირდაპირი დამიზნებით ცეცხლს ვუშენდით მოძრავ ტანკებს—სამიზნეებს, რამდენიმე წუთის განმავლობაში 4 ჭურვით სამიზნე 4 ადგილას დავაზიანეთ.

ასე ესვრის არა მარტო ჩვენი ქვემეხის მემიზნე სერჟანტი ბეჭვაია, არამედ გუნდის ყოველი ნომერი. ამიტომაც მე, როგორც გუნდის მეთაურს, მიხარია ვუყურო ჩემს ამხანაგებს, რომელთაც მკერდს უმშვენებს მედალი „კავკასიის დაცვისათვის". მათ ვაჟკაცური გარეგნობა აქვთ. აი, უმცროსი სერჟანტი ვარლამ კალანდია. მკერდზე „წითელი დროშის" ორდენის გვერდით მას უბრწყინავს მედალი „მამაცობისათვის", მე ჩემის ხელით მივამაგრე მკერდზე ეს მედალი.

იგი მდინარე ჩეგემზე ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ნაცადი, ბრძოლაში გამოცდილი.

თვითონ ის მეუბნებოდა:

— გახსოვს მდინარე ჩეგემი? რამდენი შეცდომა ჩავიდინე მე მაშინ. ახლა რომ მომიხდეს გერმანულ ტანკებთან ბრძოლა!.. ჩემი ხელი უფრო მტკიცე, ხოლო თვალი უფრო მახვილი გახდა.

მემიზნე სერჟანტი ილია ბეჭვაია ნამდვილი ზუსტი მსროლელია. ჩვენი გუნდის სნაიპერულად გახდომის ინიციატივა მას ეკუთვნის.

მე მხარი დავუჭირე მის წინადადებას და იგი შეუდგა მებრძოლების მომზადებას ზუსტი სროლისათვის. არც ისე ადვილი იყო რომ ჩვენი მოფერი, როგორი მებრძოლი სიდამბონიძე წარჩინებული მემიზნე გამხდარიყო.

ყოველ თავისუფალ წუთს სერჟანტი ბეჭვაია მოფერს მოსვენებას არ აძლევდა: აიძულებდა მას სწრაფად ამოეღო მიზანში მოძრავი ფარი, აჩვენებდა ხიშხის სწორ დაყენებას ახლო მანძილზე პირდაპირი დამიზნებით სროლისათვის. და მან თავისას მიაღწია.

და განა მარტო მოფერი დაეუფლა მემიზნის სპეციალობას? ამ 2 წელს ჩვენთვის უქმად არ ჩაუვლია. გამტენი რიგითი მებრძოლი ალექსანდრე გოგიშვილი თავისი საქმის ოსტატია. ჭურვი მის ხელში თითქოს ცოცხლდება: თვალის დახამხამებასაც კი ვერ მოასწრებ და იგი უკვე თავის ადგილზეა. მაგრამ მემიზნედ მუშაობა მას არ შეეძლო. მოიკოპლებდა ამ სპეციალობაში მეყუთე რიგითი მებრძოლი ისაკი სალიაც.

მემიზნე სერჟანტი ბეჭვაია ძალასა და დროს არ ზოგავდა, ასწავლიდა ამ მებრძოლებს დამიზნების ხელოვნებას. დღეს ჩვენ გუნდში არა გვყავს ისეთი მებრძოლი, რომელსაც არ შეეძლოს ყოველ წუთში შესცვალოს მემიზნე. აი ისინი, ზუსტი ცეცხლის ოსტატები, დგანან წყობილებაში და მედალი „კავკასიის დაცვისათვის", როგორც ვაჟკაცობისა და მამაცობის სიმბოლო, ელვარებს მათ მკერდზე. შეხედავ ამ სადღესასწაულო წუთში შენს თვითეულ მებრძოლ ამხანაგს და ძალაუნებურად იტყვი:

— არა, ახლა ჩვენ ისინი არა ვართ, რაც ამ ორი წლის წინათ ვიყავით. ჩვენ წინ წავედით, მოგონება ლიაგვრჩა მდინარე ჩეგემის შესახებ. მკერდზე ორდენებისა და მედალ „კავკასიის დაცვისათვის" ბრწყინვალება მუდამ მოგვაგონებს: იქ, კავკასიის უღელტეხილებზე გადაიშალა დაიბადა ჩვენი ვაჟკაცობა და საბრძოლო ოსტატობა, იქიდან მომდინარეობს ჩვენი დღევანდელი წარმატებების დასაწყისიც.

ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდის მეთაური უფროსი სერჟანტი
ოთარ მგალობლიშვილი

დაჯილდოებული ლენინის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

უფროს სერჟანტ მგალობლიშვილის ქვემეხის გუნდი საბრძოლო მეცადინეობაზე.

ხელის სისწრაფე

ჩვენს ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონში თითქმის ყველა მებრძოლი დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

რას მოითხოვს ჩვენგან ეს მაღალი ჯილდო? კავკასიის დამცველი ყველაფერში მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. მთავარია სრულყოფილად ფლობდე შენს სამხედრო სპეციალობას. ვინც არ უნდა იყო—მემიზნე, გამტენი, მზვერავი, მეკავშირე—იყავი შენი საქმის ოსტატი.

მაგალითს ჩემს თავზე ავიღებ: მეც დაჯილდოებული ვარ მედლით „კავკასიის დაცვისათვის". ჩემი სპეციალობა მარტივია: გამტენი. ვინმე ალბათ იტყვის: რა ძნელი საქმეა გატენა? აიღე ჭურვი და გატენე. მართალია, გატენა არ არის რთული საქმე, მაგრამ სწრაფად გატენა, როგორც ამას საბრძოლო ვითარება მოითხოვს, არც ისე ადვილია. საჭიროა ვარჯიში.

მართალს გეტყვით: ვარჯიშის შედეგად მე ახლა უფრო სწრაფად ვაწარმოებ გატენვას, ვიდრე ორი წლის წინათ. შეიძლება ერთი მეასედი წამით, მაგრამ მაინც უფრო სწრაფად. რატომ? ორ წელს ვვარჯიშობდი. როდესაც ქვემეხთან ვდგევარ, მე მხოლოდ ერთი აზრით ვარ შეპყრობილი—რაც შეიძლება ჩქარა მივაწოდო ჭურვი. ყოველდღიურმა ვარჯიშობამ ჩემი ხელი იმდენად მოქნილი გახადა, რომ მისი მოძრაობა თვალისათვის ძნელად შესამჩნევია.

რასაკვირველია, საჭიროა სხვა სპეციალობის დაუფლებაც. მე, მაგალითად, შემიძლია შევცვალო მემიზნე, მესაკეტე, მაგრამ ჩემთვის მაინც მთავარია სწრაფად გატენვა. მე შემიძლია ვთქვა: თუ ჩვენ კვლავ მოგვიწევს ბრძოლა გერმანულ ტანკებთან, საქმით დავამტკიცებ, რა შეუძლია კავკასიის დამცველს.

გამტენი, რიგითი მებრძოლი
ალექსანდრე გოგიშვილი.

დაჯილდოებული მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

მაგონდება ბრძოლა

მაგონდება ბრძოლა ბაქსანის ხეობაში. მე მაშინაც მემიზნე ვიყავი. მაგრამ საკმაო გამოცდილება არა მქონდა. არ შემეძლო უშეცდომოდ ამომეღო ნიშანში მოძრავი სამიზნე. დიდი შრომა და ჯაფა გავსწიე იმისათვის, რომ ნიშანში ამომეღო მოძრავი ტანკი. ვერ ვახერხებდი მტრის ტანკის დაზიანებას პირველი ჭურვით. მიხდებოდა მისროლა.

მაგრამ ბაქსანის ხეობაში ბრძოლამ თვალზომა გამიწაფა. მე სწრაფად ვიღებ ნიშანში ჯავშნით შეჭედილ მტერს, ვარკვევ მანძილს ქვემეხიდან ტანკამდე. თუ შემეკითხებიან: როგორ მიაღწიე ასეთ ზუსტ დამიზნებას? — მე ვუპასუხებ: თვალზომის ვარჯიშით.

ჯერ კიდევ ბაქსანის ხეობაში ვავიგე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ ვარჯიშს მემიზნისათვის. დაუღალავად სრულვყოფდი მემიზნის ოსტატობას. ორი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩავატარე. იმდენად განვავითარე მხედველობის სისწრაფე, რომ თვალის დახამხამებაზე შემიძლია ნიშანში ამოვიღო მოძრავი სამიზნე. ამას უკანასკნელი ჩათვლებიც ადასტურებს.

სწორედ ეს არის ბაქსანის ბრძოლების თვალსაჩინო შედეგი. ამ ბრძოლების ხსოვნა სამუდამოდ აღბეჭდილია მედალში „კავკასიის დაცვისათვის".

ქვემეხის მემიზნე სერჟანტი
ილია ბეჭვაია

დაჯილდოებული მედლით „კავკასიის დაცვისათვის"

მეთაურის საიმედო თანაშემწე

პირველ ხანებში პარტიული ორგანიზაცია, რომლის პარტორგად ამხ. სულამანიძე მუშაობს, ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. აქ კომუნისტებს შორის იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც საბრძოლო და პოლიტმომზადებაში ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, კომუნისტები — შველიძე, ცანცაძე, მუმლაძე, გერგიშვილი და შენგელია სროლის საქმეში ცუდ მაჩვენებლებს იძლეოდნენ. მათ მაშხანის სროლის მესამე ამოცანა ვერ შეასრულეს. ქვეგანაყოფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. კორძაძემ პარტორგ სულამანიძეს დაავალა, რომ პარტიულ ორგანიზაციას მიეღო სათანადო ზომები, დახმარება გაეწია მათთვის.

ამხ. სულამანიძემ მოიწვია ბიუროს სხდომა, განიხილა ეს საკითხი და ჩამორჩენილი მებრძოლების გამოსწორების მიზნით დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

გარდა ამისა, პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო კომუნისტ სერჟანტების შეკრება, სადაც დამუშავდა საკითხი — „ფართოდ გამოვიყენოთ სროლის ბალისტიკა". ჩატარდა აგრეთვე საუბარი „კომუნისტების როლი სალეცხლე მომზადების საქმეში".

ამრიგად, პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა და სათანადო დასკვნა გამოიტანა უკვე მომხდარ ფაქტებიდან, ამით წინასწარი ზომებიც მიიღო იმისათვის, რომ მომავალშიაც არ განმეორდეს ასეთი ფაქტები არა მარტო კომუნისტების, არამედ უპარტიო ამხანაგების მხრივაც.

გარდა ამისა, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადების ფრიადოსანმა კომუნისტებმა ხელი მოჰკიდეს ჩამორჩენილი ამხანაგების პირადად დახმარების საქმეს. მაგალითად, კომუნისტმა პაპავამ დაიწყო მებრძოლ შველიძესთან სისტემატური მუშაობა. ამხ. შველიძე ახლა უკვე ქვეგანაყოფში პირველ მსროლელად ითვლება. მას სამხედრო სწავლების ყველა სახეობაში ფრიადი და კარგი მაჩვენებლები აქვს.

პარტიულ ორგანიზაციის კრებებზე ყოველთვის აქტიურად იხილავენ ქვეგანაყოფის საბრძოლო და პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, როგორიცაა: უპარტიო აქტივის აღზრდა, კომუნისტების ამოცანები მომავალ საინსპექტორო შემოწმებისათვის მზადებაში და სხვ.

ბატალიონის პარტორგი
ლეიტენანტი ვ. დოლიძე

მებრძოლ ოურუშიძის იდეური ზრდა

საქმისადმი სიყვარულით, თავაზიანობით, ზუსტი და ნაყოფიერი მუშაობით მებრძოლმა ოურუშიძემ ქვეგანაყოფში თავიდანვე დაიმსახურა ამხანაგების პატივისცემა და სიყვარული.

როდესაც ქვეგანაყოფის მეთაურმა ტაქტიკური მეცადინეობის შედეგების გარჩევის დროს შეაქო ოურუშიძის საზრიანი, გაბედული და სწრაფი მოქმედება, წითელარმიელს სიხარულით აევსო გული. იგი უფრო მონდომებით შეუდგა მეთაურის მითითებების შესრულებას.

საინსპექტორო შემოწმებაზე ოურუშიძემ ყველა დისციპლინაში ფრიადი შეფასება მიიღო. მას უხაროდა თავისი წარმატება, უხაროდა რომ ჯილდო აქებდა, მაგრამ იგი მაინც არ იყო კმაყოფილი.

ერთხელ, როდესაც ქვეგანაყოფის პარტორგი ამხ. წირქვაძე დაიმარტოხელა, ოურუშიძემ ასე მიმართა მას:

— ვგონებ ცუდად არ ვმუშაობ. მე ვიცი, რომ ბოლშევიკური პარტიის რიგებში მხოლოდ მოწინავეები უნდა იყვნენ. რას მეტყვით, გამოვდგები? დამეხმარეთ. რაც შეეხება პოლიტიკურ მომზადებას — ვეცდები, ლიტერატურა მიმითითეთ.

პარტორგს, რა თქმა უნდა, ესიამოვნა მებრძოლის ასეთი ინიციატივა, მან ოურუშიძეს შესასწავლად მისცა სკ. კ. (ბ) წესდება და პროგრამა. გარდა ამისა, პარტორგის რჩევით ოურუშიძე შეუდგა ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" შესწავლას.

პოლიტიკურ ლიტერატურასთან ერთად ოურუშიძემ დიდი ინტერესით დაიწყო მხატვრული ლიტერატურის კითხვა. წითელარმიელ ბიბლიოთეკიდან მან ჯერ ფურმანოვის „ჩაპაევი" წაიღო, წიგნი ერთ კვირაში წაიკითხა, ძალზე დაინტერესდა, აზრი ამხანაგებსაც გაუზიარა. შემდეგ წაიკითხა ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი", გორკის „დედა" და სხვ.

პოლიტიკური დონის ამაღლებამ სათანადო გავლენა იქონია მის საბრძოლო მომზადებაზე. საბრძოლო მოედანზე თუ ტაქტიკურ მეცადინეობაზე იგი ყოველთვის მოულოდნელ დროს შეეძინა რაიმე ახალი, გამოცდილება საკუთარი ცოდნა. ამის წინათ ჩატარებულ ცალკეულ მებრძოლთა შეჯიბრებაზე სროლაში პირველობა ოურუშიძეს ერგო. მას სურდა რომ გაეზარდა როგორც ჭეშმარიტი და გამოცდილი კიდევ სკ. კ. (ბ) რიგებში შესასვლელი დოკუმენტები. იგი განცხადებაში აღნიშნავდა, რომ კომუნისტის საპატიო სახელი ერთი-ორად გაზრდის მის ენერგიას, კიდევ უფრო გააღრმავებს მის სიყვარულსა და თავდადებას სამშობლოსადმი.

წითელარმიელი ოურუშიძე მიღებულ იქნა სკ. კ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

— გამართლდა ჩემი ნატვრა,— სთქვა ოურუშიძემ ქვეგანაყოფის პარტორგანიზაციის კრებაზე. — დღეიდან მე კომუნისტი ვარ. ეს კიდევ უფრო ამაღლებს ჩემს ღირსებას, ვეცდები არ შევარცხვინო კომუნისტის საპატიო სახელი. მალე ჩვენც მოგვიწევს სამამულო ომის ფრონტზე გამგზავრება, რათა უკანასკნელი ლახვარი ჩავცეთ გერმანელ მხეცს საკუთარ ბუნაგში. იქ კი, დაე ჩემმა შაშხანამ ილაპარაკოს, თუ როგორ მძულს არამზადა გერმანელი, თუ როგორ მიყვარს ჩვენი ძვირფასი სამშობლო—საბჭოთა კავშირი.

ლეიტენანტი ვ. აფხაზავა



6 ნაწილის ოფიცერთა საკრებულოში ოფიცრები თამაშობენ ბილიარდს.

ლეიტენანტ შ. ლეკანოზიშვილის ქვეგანაყოფი

ლეიტენანტი შ. ლეკანოზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშაობის აღრიცხვას. აქ ყოველ ათეულის მეთაურს აქვს საღრიცხვო რვეული. ამ რვეულში ყოველდღიურად იწერება მებრძოლთა წარმატების ნიშანი. ათეულის მეთაურები ამხ. ლეკანოზიშვილს სისტემატურად მოახსენებენ ხოლმე მუშაობის შედეგს. ამრიგად, ქვეგანაყოფის მეთაურისათვის ცნობილი ხდება, ვინ არის ჩამორჩენილი, რა დახმარება ესაჭიროება და სხვ. ასეთი ოპერატიულობა მეთაურს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს თვითეულ მებრძოლს, ქმედითი დახმარება გაუწიოს მას.

მებრძოლების წარმატების აღრიცხვის სათანადო სიმაღლეზე დაყენებამ შესაფერისი შედეგი გამოიღო. მან ხელი შეუწყო მებრძოლთა მომზადების დონის ამაღლებას.

ქვეგანაყოფის პირადი შემადგენლობის უმეტესობა ფრიადოსანია. ამას წინათ ნაწილის საინსპექტორო შემოწმებაზე ქვეგანაყოფმა სარდლობის მადლობა დაიმსახურა.

წითელარმიელი ა. ლუხუტაშვილი.

ღირსეულად აღვნიშნავთ ოქტომბრის 27 წლისთავს

ჩვენი ნაწილის ფიზკულტურელები გაძლიერებით ემზადებიან საფრონტო სპარტაკიადისათვის. ჩვენ მთელი რიგი შეჯიბრებები ჩავატარეთ ხიშტით ბრძოლაში, მსუბუქ ატლეტიკაში და სროლაში. ამ დღეებში ჩავატარეთ 25 კილომეტრიანი ლაშქრობა. ოცეულმა, რომელსაც მეთაურობდა უმცროსი ლეიტენანტი კარაპეტიანი, ეს მანძილი 2 საათსა და 50 წუთში გაიარა. ლაშქრობაში არავინ არ ჩამორჩენილა. სროლის ჩატარების დროს ყველა სამიზნეები დაზიანებულ იქნა. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს კომკავშირელებმა გალსტიანმა, სამველიანმა, სერჟანტებმა ბოსენკომ, სტარილინმა, ბურგონიევმა, სარქისიანმა და სხვ.

ვემზადებით რა ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXVII წლისთავს, ჩვენი ნაწილის ფიზკულტურელები არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა საუკეთესო ადგილი მოიპოვონ მომავალ საფრონტო სპარტაკიადაზე.

ზემდეგი ა. შეპილინი

პროფ. პ. ვ. ბაზილევიჩი

რუსული სამხედრო ხელოვნება

(გაგრძელება*)

პირველად პეტრე დიდმა შემოიღო მსხვილი საკავალერიო შენაერთების გამოყენება დამოუკიდებელ სტრატეგიულ ამოცანების გადასაწყვეტად. ამ მიზნით თვითეულ საკავალერიო პოლკს მიაკუთვნა რამდენიმე მსუბუქი ზარბაზანი, რომლებიც გადაჰქონდათ ცხენებით. ე. ი. არსებითად შექმნა ცხენოსანი არტილერია. დასავლეთში კი ცხენოსანი არტილერია გამოჩნდა დაახლოებით 50 წლის შემდეგ, ფრიდრიხ II-ის დროს. არანაკლები ორიგინალური და ძვირფასი წამოწყება იყო პეტრეს მიერ ჩამოყალიბებული მსუბუქი მოძრავი რაზმები, რომლებიც შესდგებოდნენ კავალერიისა და ქვეითი ჯარისაგან. მათ თავიანთ განკარგულებაში ჰყავდათ ცხენები და საზიდრები („კორვოლანტები"). აღნიშნული რაზმები შემოღებულ იქნა ისეთი ოპერაციებისათვის, რომელნიც განსაკუთრებულ სისწრაფეს მოითხოვდნენ.

სამხედრო ხელოვნების ახალ პრინციპებზე აგებულ სტრატეგიული გეგმის ბრწყინვალე შესრულების მაგალითს წარმოადგენს 1708-1709 წლების კამპანია, რომელიც პოლტავასთან „გენერალური ბატალიით" და შვეციის სამხედრო ძლიერების სრული განადგურებით დამთავრდა. პეტრეს მითითებით დამუშავებული კამპანიის გეგმა ეყრდნობოდა ომის თეატრის თავისებურებათა გამოყენებას, რომელნიც ღრმა მანევრულ მოქმედებათა საშუალებას იძლეოდნენ. უარყო რა გამაგრებული ხაზების დაცვა, პეტრემ შექმნა „მკვდარი ზონა", რომლის ფართობი უდრიდა 200 კმ., ამ ზონაში თავის დროზე ლიკვიდირებული იქნა სურსათისა და ფურაჟის ყოველგვარი მარაგი. ადმოსავლეთისაკენ კარლ XII წინსვლისდამიხედვით ამ ზონის სიგანე დიდდებოდა, ხოლო შვედების არმია, რომელსაც მომარაგების ადგილობრივი რესურსების იმედი ჰქონდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დროებით ხელი აიღო რა გენერალურ ბრძოლაზე, პეტრე მეტად აქტიურად მოქმედებდა და აგემებდა მტერს ცალკეულ დარტყმებს სულ უფრო და უფრო მზარდი სიძლიერით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პარტიზანული ომის განვითარება, რომელსაც პეტრე ამაგრებდა რეგულარული ჯარის მცირე რაზმებით. ეს იდეა რუსეთის სარდლობამ ფართოდ გამოიყენა 1812 წელს. შვედების არმია ნადგურდებოდა გადასვლების დროს. მისი გზა მოფენილი იყო დალუპულ ადამიანებისა და ცხენების გვამებით.

პეტრე დიდმა მოამწყვდია კარლ XII ჩიხში და აიძულა იგი ხელი აეღო მოსკოვზე გალაშქრა. შვედები სმოლენსკამდეც კი არ იყვნენ მოსულნი, როდესაც მათ პირი იბრუნეს უკრაინისაკენ. ამ მკვეთრი მობრუნებით კარლ XII აღიარა თავისი შეტევითი გეგმის ჩაფუშვა. მას უკრაინის მინდვრების იმედიც კი გაუქარწყლდა. 1708-1709 წლების კამპანიაში პეტრე სისტემატურად ზრდიდა თავის სტრატეგიულ უპირატესობას, თავისი ნებისყოფით იმორჩილებდა მოწინააღმდეგეს. კარლ XII არახელსაყრელ ვითარებაში მიიღო „გენერალური ბატალია".

მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში პეტრე იყო ბრწყინვალე წარმომადგენელი იმ შეტევითი სტრატეგიისა, რომელიც შემდგომ განავითარეს სუვოროვმა და ნაპოლეონმა.

პოლტავის მინდვრებზე კარლ XII შეეჯახა არა მარტო რუსეთის ახალ არმიას, რომელიც არაფრით არ გავდა ნარვასთან დამარცხებულ არმიას, არამედ ახალ ტაქტიკურ ხელოვნებასაც. პირველად პეტრემ გამოიყენა რედუტები— ბრძოლის ველზე ცალკეულ შემჭიდროებულ სიმაგრეთა სისტემა. ეპყრობოდა რა იმ დროს გავრცელებულ საბაზო ტაქტიკას, პეტრემ შეავსო იგი ჯარების უფრო ღრმა ეშელონირებით, ამავე დროს შექმნა რეზერვი ფრონტის იმ უბნების დასახმარებლად, რომლებიც საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ. მთავარი ის არის, რომ რუსეთის არმიის მთელი მოქმედება გამსჭვალული იყო შეტევითი აღტყინებით. რუსი ჯარისკაცის ხელში ხიშტი, რომელიც თავდაცვის იარაღი იყო, შეტევის იარაღი გახდა. პეტრემ გამონახა სწორი ფორმები ცეცხლისა და მოძრაობის შეხამებისათვის, შეტევაში ცეცხლის მთელი სიმძლავრის გამოყენებისათვის.

დაუფასებელია პეტრეს დამსახურება რუსეთის შეიარაღებულ ძალების განვითარებაში. მან შექმნა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, საფუძველი ჩაუყარა სამხედრო-საზღვაო ხელოვნებას, მოგვცა არმიისა და ფლოტის საბრძოლო ურთიერთმოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები. პეტრემ ააშენა მტკიცე სამრეწველო საძირკველი, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის არმიას საჭურვლითა და საომარი მასალით. ამაში უდიდესი როლი შეასრულეს პეტრეს მიერ შექმნილმა ურალის ქარხნებმა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

*) დასაწყისი იხ. № 110, 111.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

(დასასრული)

ტურენი, ბერკენიეში, სუატუ, კოლოკანა, აპახიდა და რკინიგზის სადგურები ჰარვა, მეზურა, მურეშენი-ბირგელუი, ტიკე, სერმეშელი, აპახიდა.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებით შეტევას აგითარებენ, 11 ოქტომბერს იერიშით დაიკავეს ტრანსილვანიის დედაქალაქი **კლუჟი**. ამავე დროს ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე **ტისა** და დაიკავეს უნგრეთის დიდი სამეურნეო-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი—ქალაქი **სეგედი**.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქ ნიშის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **კნიაჟევაცი**.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები აწარმოებდნენ.

10 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 34 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ნავსადგურ ლიეპაიასა (ლიბავა), ნავსადგურ რიგასა და გერმანიის ქალაქ ტილზიტზე

10 ოქტომბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ ძლიერ დაბომბა გერმანელთა ტრანსპორტები ნავსადგურ ლიეპაიასა (ლიბავა) და ნავსადგურ რიგაში. დაბომბვის შედეგად ორივე ნავსადგურში გაჩნდა დიდი ხანძრები, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

გერმანიის ქალაქ ტილზიტზე თავდასხმის დროს ჩვენმა მფრინავებმა შეხვდნენ მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარები და ავტოტრანსპორტი ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რკინიგზის სადგურზე და მდინარე ნემანზე მოწყობილ გადასასვლელებთან. ამ რაიონების დაბომბვით გერმანელთა ჯარებს ზარალი მოუყენეს.

* *

ქალაქ კლაიპედის (მემელი) ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური რუცავა და ამით კიდევ ერთ უბანზე გავიდნენ ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ქალაქ პალანგის რაიონში ჩაძირულ იქნა გერმანელთა სამხედრო ხომალდი, რომელიც ცდილობდა ქალაქისათვის დახმარება. ქალაქ კლაიპედის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ თავისი შეჰრქული ჯარები სამი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზიით შეავსო და ოცდაათზე მეტი კონტრიერიში მიიტანა. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა არტილერიის დახმარებით მოიგერიეს მტრის ყველა იერიში, წინ წაიწიეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. არასრული ცნობებით, მოსპობილია ორი ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, აგრეთვე დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 52 ტანკი. ჩვენმა ჯარებმა გერმანელებს წაართვეს 15 თვითმფრინავი, 45 ტანკი, 17 ორთქლმავალი, 200-ზე მეტი ვაგონი და 7 საწყობი სამხედრო ქონებით.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარებოდა სახმელეთო ჯარების შეტევას. დღისით და ღამით საბჭოთა მფრინავები განუწყვეტლივ ბომბავდნენ და იერიშები მიჰქონდათ მოწინააღმდეგის ჯარებზე და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 27 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ შაულის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს აწარმოებდნენ. საბჭოთა ნაწილები, რომლებიც ტყის მასივებში მოქმედებენ, სტეხენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას და მტკიცედ მიიწევენ წინ. N შენაერთის მებრძოლები ქალაქ იურბარკასის რაიონში მდინარე ნემანზე გადავიდნენ და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის პუნქტი კიმელი. ჩვენმა სხვა ნაწილებმა 15 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტი პიმოვე საბჭოთა ლიეტუვისა და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია ალაფი.

* * *

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. N ნაწილის ქვეგანაყოფებმა, რომლებიც მთების მძიმე პირობებში მოქმედებენ, ლიკვიდაცია უყვეს მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენ პუნქტს. ერთ რაიონში ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფად შემოუარეს გარს გერმანელთა ბატალიონს, ხოლო შემდეგ სოფელ მეზე-სილვაშის ახლოს ტყეში ბრძოლით გაანადგურეს იგი. წამოყვანილია 3 ქვემეხი, 7 ნაღმსატყორცნი და 30 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია 200-ზე მეტი ტყვე.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს იერიშით დაიკავეს ტრანსილვანიის დედაქალაქი კლუჟი. მოწინააღმდეგემ აქ დიდი ძალები შეყარა და ზღუდებზე მოწყობილ პოზიციებზე გამაგრდა. საბჭოთა ნაწილები სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას და განუხრელად უახლოვდებოდნენ ქალაქს. გუშინ ჩვენმა ჯარებმა გადალახეს კლუჟიდან დასავლეთისაკენ მიმავალი გზები და სამი მხრიდან შეიჭრნენ ქალაქის გარეუბნებში. სასახლეებსა და სიმაგრეებში ჩამსხდარი გერმანელები და უნგრელები შეუპოვარ წინააღმდეგობას იწევდნენ. დღეს დილით ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგის გარნიზონი და მთლიანად დაიკავეს ქალაქი კლუჟი. წამოღებულია დიდძალი დავლა და წამოყვანილია მრავალი ტყვე.

უნგრეთის ქალაქ მაკოს დასავლეთით მოქმედი ფრონტის ჯარები გადავიდნენ მდინარე ტისაზე ქალაქ სეგედის რაიონში. საბჭოთა ნაწილებმა გატეხეს წინააღმდეგობა გერმანელთა და უნგრელთა ჯარებისა, რომლებიც მდინარის დასავლეთ ნაპირზე იცავდნენ თავს, და გადასჭრეს სეგედ-სუბოტიცის რკინიგზა და გზატკეცილი. ქუჩაში გაჩაღებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სეგედი—სიდიდის მიხედვით უნგრეთის მეორე ქალაქი, სამეურნეო-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი. ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილია 1.000-მდე გერმანელი და უნგრელი. ხელთ ვიგდეთ 11 ორთქლმავალი და 400-მდე რკინიგზის ვაგონი.

* * *

იუგოსლავიაში საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, წინ წაიწიეს 20-მდე კილომეტრით და დაიკავეს ქალაქი კნიაჟევაცი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის სამთო-შაშხანოსანი ბატალიონი და წამოიყვანეს ტყვეები. რკინიგზის საკვანძო სადგურ ველიკა პლანას რაიონში ხელთ ვიგდეთ დიდი საწყობები მოწინააღმდეგის სურსათითა და სამხედრო ქონებით.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ რიგის ყურეში ჩაძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 4 ათასი ტონა წყალწყვით, 6 კატარღა, ბუქსირი და მოტობოტი.

ოქტომბერი 12 ხუთშაბათი

1942—ქრისტოფორე კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა.

1890—გარდაიცვალა პოეტი ვახტანგ ორბელიანი (დაიბ. 1818 წ.).

1941—შეიქმნა სრულიად ანტიფაშისტური მეცნიერთა მიტინგი.

ნარევი

უზნიერესი ცხოველები

ყველაზე უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე არის სპილო და კუ. სპილოს შეუძლია იცოცხლოს 200 წლამდე, კუს — 150, მაგრამ მათ ვერავინ ვერ ჩამოუვა. ყორანს შეუძლია 100 წლამდე გასძლოს, ფრინველებიდან დიდხანს ცოცხლობენ გედები, ბატები, არწივები და შევარდნები, ხოლო თევზებიდან კობრი, ქარიყლაპია, ლოქო და სხვ.

„ფერადი კარტოფილი“

ამერიკელმა აგრონომებმა გამოიყვანეს სხვადასხვა ფერის კარტოფილი: წითელი, ცისფერი მეწამული და ყვითელი.

ფრიტიოფ ნანსენი

არქტიკის ცნობილ მკვლევარ ნანსენს ერთხელ სცადეს მიეღწიათ პოლუსამდე, მაგრამ ამაოდ. ამ დროიდან გემი „ფრამი“ რომელიც ნანსენს ეკუთვნოდა, ყინულებმა ციმბირიდან გრენლანდიაში მიიტანეს. ამ გარემოებას რომ ჩაუკვირდა ნანსენი, იფიქრა ალბათ, პოლუსთან გადის რაიმე დინებაო, და გადაწყვიტა იმით ესარგებლა.

1893 წელს ნანსენი და მისი 12 ამხანაგი გემ „ფრამით“ გაემგზავრნენ. ეს გემი ისე იყო აგებული, რომ როდესაც ყინულები შემოარტყმოდნენ, ის ყინულების ზედაპირზე აღმოჩენილიყო. 1½ წლის შემდეგ „ფრამი“ დინებამ პოლუსის სამხრეთით წაიყვანა, მაშინ ნანსენი და მისი ამხანაგი იოჰანსენი ტყავის ნავებით გაემგზავრნენ პოლუსისაკენ, თან ძაღლებიც წაიყვანეს. დიდხანს იარეს, მაგრამ 86° 14,5'-ზე მათ ყინულის მთები გადაეღობათ, გაუვალნი გახდნენ გამოზამთრებულ-ლიყვნენ. სამი თვე იარეს ყინულის ველზე და მიაღწიეს ფრანც იოსების მიწამდე, სადაც ყინულის ქოხში გაატარეს ზამთარი.

ზაფხულზე მიაღწიეს კონცხს ფლორას, სადაც შეხვდნენ ინგლისის ექსპედიციას და მათთან ერთად დაბრუნდნენ ნორვეგიაში, მალე მოვიდა „ფრამიც“. ყინულებმა ეს გემი შპიცბერგენთან გაიტანა.

ბრძოლების გამოცდილებიდან

მცირე ქვეგანაყოფების მანევრირება

ფრონტის ჩვენს უბანზე მცირე ჯგუფებით მანევრირებამ ფართო გამოყენება ჰპოვა. ხვდებიან რა მტრის ძლიერ წინააღმდეგობას, მეთაურები ეძებენ გზებს შემოვლისათვის, მოწინააღმდეგის სუსტ ადგილებს, განსაკუთრებით, შუალედებსა და ფლანგებზე, და აგემებენ მას გამანადგურებელ დარტყმებს.

მტერი, რომელიც ეფარება ბუნებრივ დაბრკოლებებს, ცდილობს თავის მტკიცე თავდაცვა. ამისათვის იყენებს იგი მაღლობებს, მდინარეებს, სატბათაშორისო არეებს. მაგრამ გერმანელები წინასწარ განსაკუთრებით განიცდიან დარტყმებს, რომელთაც მათ აგემებენ ფლანგებზე, ან როდესაც მათ ზურგში მოულოდნელად გამოჩნდებიან ჩვენი ქვეგანაყოფები.

ტყიანი, მკვეთრად დასერილი ადგილმდებარეობა ხელს უწყობს თავისუფალ მანევრირებას, იძლევა მტრის ზურგში შეჭრისა და მისი ფლანგებისათვის შემოვლის საშუალებას. ამას იყენებენ ჩვენი ოფიცრები. მაგრამ ხანდახან ზოგიერთი მეთაური არასწორად მიმართავს მანევრირებას.

მოვიყვან მაგალითს. ერთ-ერთ ტყიან მაღლობის მოპირდაპირე მხარეზე ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლით უეცრად შეჩერებული იქნა კაპიტან სიდოროვის ბატალიონი. ბატალიონი სწრაფად გაიშალა, ხოლო ბატალიონის მეთაურმა დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება შემოევლო მაღლობისათვის. კაპიტანმა სიდოროვმა შემოვლისათვის გამოჰყო ერთი მსროლელი ასეული. ვიდრე ასეული შეასრულებდა დასახულ ამოცანას, დანარჩენი ქვეგანაყოფები აწყდებოდნენ იერიშის დემონსტრირებას. ცოტა ხნის შემდეგ ბატალიონის მეთაური მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბატალიონის წინააღმდეგ იმყოფებოდა პატარა დამცველი ჯგუფი. მათი განადგურებისათვის საჭირო არ იყო არავითარი მანევრირება. მაგრამ დრო უკვე დაიკარგა.

ამიტომ სანამ მანევრირებას მიმართავდეს, მეთაური ვალდებულია სწორად შეაფასოს ვითარება, უნარიანად შეარჩიოს მოცემული პირობებისათვის მანევრირების ყველაზე უფრო მოხერხებული ფორმა — შემოვლა, შეჭრა ზურგში, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ეცადოს მის განხორციელებას.

ხშირად იქმნება ისეთი ვითარება, როცა მცირე ქვეგანაყოფები ბრძოლას უფრო სწრაფად იგებენ, ვიდრე მსხვილი ქვეგანაყოფები.

ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში მოწინააღმდეგე, რომელსაც მხარს უჭერდა 75 მმ. ზარბაზნის ორი ბატარეა და ნაღმსატყორცნი ბატარეა, გვიწევდა ძლიერ წინააღმდეგობას. ჩვენმა ცდამ, რომ გაგვენადგურებინა გერმანელები ფრონტალური იერიშებით, წარმატება ვერ გამოიღო. ლია მისადგომები, კარგად დასანახი და გამოსათოფი ადგილმდებარეობა ხელს უწყობდნენ მტერს მტკიცედ დაეცვა დაკავებული ზღუდე. მაშინ ქვეგანაყოფის მეთაურმა გაგზავნა გაძლიერებული ოცეული მაღლობის შემოსავლელად და დაუსახა ამოცანა იერიში მიეტანა გერმანელებზე ზურგიდან.

ოფიცერმა ზუსტად გაიანგარიშა დრო, რომელიც დასჭირდებოდა ოცეულს მაღლობის შემოსავლელად და გადასწყვიტა ემოძრავა ჭაობიან ადგილმდებარეობაში. მოწინააღმდეგე ჭაობის მიღმა თავს მიუდგომლად გრძნობდა და, ბუნებრივია, ამ მიმართულებას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა.

ჭაობი მართლაც რომ ძნელად გასავლელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ოცეულმა წარმატებით გადალახა იგი და დანიშნულ დროს გავიდა მითითებულ ადგილზე, რითაც მოწინააღმდეგეს გადაუჭრა უკან დასახევი გზა.

ბატალიონის მეთაურთან კავშირის ორგანიზება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მეკავშირის გაგზავნა უაზრო იყო, რადგანაც იგი ბევრ დროს მოითხოვდა. ამიტომაც ოცეულის მეთაური და მებრძოლები იჩენდნენ რა ინიციატივას, მოქმედებდნენ დამოუკიდებლად.

განზრახვა გამართლდა. ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა ტიმოფეევმა, პირობის თანახმად, დაიცვა მანევრის მთელი გეგმა. ოცეულმა ამით გადასწყვიტა დასახლებულ პუნქტისათვის ბრძოლის ბედი. ოცეულმა, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა მტრის ზურგში, გერმანელებში არევ-დარევა და პანიკა შეიტანა. მოწინააღმდეგემ იფიქრა, რომ მას ქვეგანაყოფის უმეტესობამ შემოუარა ზურგიდან და დაიწყო თავისი ცეცხლის ოცეულზე გადატანა. ამით ისარგებლეს ბატალიონისა და სხვა ქვეგანაყოფების მეთაურებმა. უეცარი იერიშით დაკავებულ იქნა დასახლებული პუნქტი. ერთხელ კიდევ დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ გონიერ მანევრს მუდამ მოაქვს გამარჯვება.

მცირე ქვეგანაყოფების წარმატებითი მოქმედება დამოკიდებულია მათი შემადგენლობის ინიციატივაზე, ბევრია დამოკიდებული აგრეთვე თითოეულ მებრძოლზე. თითოეული მებრძოლის გზიდან აცდენა, დისციპლინის დარღვევა, თავისთავის უდროო დროს გამომჟღავნება — ყველაფერი ეს აბათილებს მოულოდნელობით მისაღწევ წარმატებას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჯგუფებს, რომლებიც შემოვლითი მანევრს ახორციელებენ, ცუდი როდია მივცეთ მეტანგრეები — ისინი განაღმავენ მისასვლელებს და დანაღმავენ მოწინააღმდეგის უკანდასახევ გზებს.

მცირე ჯგუფების გასაძლიერებლად ეფექტურ დახმარებას გვიწევენ ნაღმსატყორცნები. აქ, სადაც ქვეითი ჯარისკაცი გავა, ნაღმსატყორცნის გატანაც შეიძლება. ბრძოლაში კი იგი ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს.

მაიორი ვ. ტოკარევი

პ/მგ. რედაქტორი **ი. ლავრუხინი**

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე **ვ. დარასელი**

ვ—659442

რედაქციის მისამართი, ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С